



**ონლაინ ინფორმაციული
მანიპულირება**



**ბამოხელიდა, ბამოწვევები და
საერთაშორისო პრაქტიკის მაბადითები**





ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ანალიზი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ და მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI.

ავტორი: ნინო გოზალიშვილი

შინაარსი

შესავალი	4
ძირითადი მიმართულებები საქართველოში	6
გამოწვევები და კვლევის მიმართულებები საქართველოსთვის	7
საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები	9

შესავალი

ინფორმაცია და მასზე გავლენის ქონა ყოველთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღს. თანამედროვე პერიოდში, განსაკუთრებით კი პანდემიის პირობებში ცხოვრებისას, ინფორმაციული სივრცის დიდი წილი სწორედ ონლაინ პლატფორმებზე მოდის.¹ გარდა სრულად ონლაინ შექმნილი საინფორმაციო პლატფორმების სიუხვისა, ტრადიციული ბეჭდვითი და სატელევიზიო მედია ინტენსიურად ათავსებს ინფორმაციას ონლაინ სივრცეში, რაც ამ უკანასკნელის მასშტაბებსა და მრავალწახნაგოვან ბუნებაზე მიუთითებს.² კვლევები მიუთითებს, რომ საზოგადოება უფრო მოწყვლადია ინფორმაციული მანიპულირების მიმართ, თუ ადამიანები მას ფაქტობრივი ინფორმაციის ფორმით იღებენ. გარდა ამისა, წინააღმდეგობრივი, სენსაციური ან საეჭვო სიახლეები ბევრად მეტად ვრცელდება ონლაინ სივრცეში, ვიდრე ობიექტური, ანალიტიკაზე დაფუძნებული ინფორმაცია.³

ამრიგად, ონლაინ ინფორმაციით მანიპულირებისა და დეზინფორმაციული კამპანიების ნეგატიური გავლენა ფარავს სოციალურ, ეკონომიკურ, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებს და ნეგატიურად აისახება დემოკრატიულ ჩართულობასა და ზოგადად, მოქალაქეების რწმენებზე დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ. მსგავსი ტენდენციები ასევე ხელს უწყობს ვირტუალურ სივრცეში ძალადობისა და ექსტრემიზმის, ისევე როგორც რადიკალური ნარატივების ჩამოყალიბებას, რომელიც შემდგომ ინაცვლებს და აისახება ფიზიკურ სივრცეში. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციული მანიპულირება და დეზინფორმაცია არ შეიძლება ჩაითვალოს პოლარიზაციის ერთადერთ წყაროდ, მისი ინსტრუმენტალიზება რადიკალური და პოპულისტური ძალების მიერ გამარტივებულია და ხელმისაწვდომია დამატებითი რესურსის გარეშე. ონლაინ პლატფორმების საინფორმაციო წყაროდ გამოყენების მზარდი მაჩვენებელი და მედია საშუალებების მიმართ შემცირებული ნდობა კი ქვეყანაში პოლარიზაციისა და ექსტრემიზმის გაღვივებას უწყობს ხელს.⁴ საქართველოს შემთხვევაში, ორივე აღნიშნული მაჩვენებელია მოცემული,⁵ რაც ასევე საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ პოლარიზაციაზე აისახება.⁶

ეგრეთ წოდებული “ინფოდემია” აღნიშნავს ონლაინ სივრცეში არასწორი ან მანიპულირებული ინფორმაციის გავრცელების ვირუსულ სიხშირეს, რომელსაც საბოლოოდ, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა შეუძლია. [MIT Media Lab-ის კვლევის მიხედვით,](#)

¹ “People Increasingly Turn To Social Media For News,” accessed November 5, 2021, <https://www.forbes.com/sites/mikevorhaus/2020/06/24/people-increasingly-turn-to-social-media-for-news/?sh=2c504bc63bcc>.

² “Traditional Media in the Digital Age,” Nieman Reports, accessed November 5, 2021, <https://niemanreports.org/articles/traditional-media-in-the-digital-age/>.

³ Joshua A. Tucker et al., “Social Media, Political Polarization, and Political Disinformation: A Review of the Scientific Literature,” *Hewlett Foundation* (blog), accessed November 4, 2021, <https://hewlett.org/library/social-media-political-polarization-political-disinformation-review-scientific-literature/>.

⁴ Tucker et al., “Social Media, Political Polarization, and Political Disinformation.”

⁵ “NDI: Public Attitudes in Georgia, November–December 2019,” accessed November 11, 2021, <https://caucasusbarometer.org/en/nn2019ge/INF5OUF1/>.

⁶ Tamta Gelashvili, Salome Kandelaki, and Lasha Kavtaradze, “Georgia’s Political Crisis: Actors and Instruments of Polarization,” *Caucasus Analytical Digest (CAD)* 123 (September 2021), <https://doi.org/10.3929/ethz-b-000507160>.

არასწორი ან დამახინჯებული ინფორმაცია ონლაინ სივრცეში 70%-ით უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე გადამოწმებული და ფაქტობრივი, რაც ონლაინ მედია საშუალებებს არა მხოლოდ უდიდეს გავლენის უნარს, არამედ პასუხისმგებლობასაც ანიჭებს. ამასთანავე, არასწორი ინფორმაციის გაბათილება მცირედ გავლენას ახდენს რწმენების ცვლილებაზე და საზოგადოების დიდ ნაწილს, დეზინფორმაციული ნარატივი უფრო ხანგრძლივად ამახსოვრდება, ვიდრე “შესწორებული” ინფორმაცია.⁷ გარდა ამისა, ადამიანები მიდრეკილნი არიან შეარჩიონ მათი იდეოლოგიური მიკუთვნებულობისა და წინასწარი რწმენების შესაბამისი ინფორმაცია.⁸ სხვა სიტყვებით, ის თუ რა სახის ინფორმაციის მიმართ გახდება მოწყვლადი საზოგადოების ესა თუ ის სეგმენტი დიდწილად დამოკიდებულია მათ რწმენებზე, პოლიტიკურ გემოვნებასა და ღირებულებებზე. ამრიგად, ონლაინ სივრცეში ინფორმაციის მოხმარების ქცევის მიხედვით, საზოგადოების ინფორმირებულობის დონე არა ერთგვაროვნად მზარდი, არამედ სელექციური და ხშირ შემთხვევაში, მკვეთრად განსხვავებულია.

ზემოაღნიშნულის ფონზე, ონლაინ სივრცეში შექმნილი ექო/ დახშული სივრცეები [echo chambers] ამარტივებს ინფორმაციულ გათიშულობას საზოგადოებაში, რაც, წრიული ეფექტით, მზარდ პოლარიზაციაზე აისახება. ფაქტებსა და მოცემულობებზე შეთანხმების გარეშე, საზოგადოებას ურთულდება პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებზე მსჯელობა და შესაბამის გადაწყვეტილებებში ჩართულობა ან ჩართულობის შეგრძნების ქონა, რაც დემოკრატიული განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თანამედროვე ონლაინ სივრცეში კი, სწორედ ინფორმაციული ტალღებისა და მათი მზარდი მანიპულირების ფონზე, სწორედ ფაქტებსა და გარემოებების შესახებ შეთანხმება ხდება ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა. გადამოწმებული და მიუკერძოებელი ინფორმაციის ნაცვლად, ონლაინ სივრცეში საზოგადოება ხშირად იღებს პოლიტიზირებულ და ფაქტობრივად არასწორ ინფორმაციას, რაც, ბუნებრივია, მის დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობაზე ნეგატიურად აისახება⁹ რამდენიმე გასხვავებული ფაქტორით: ნაკლებად ან სრულად არაინფორმირებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთება, დემოკრატიისა და დემოკრატიული ინსტიტუტების/პროცესების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შემცირება, პოლარიზაციის, ექსტრემიზმისა და რადიკალიზმის გაძლიერება და ა.შ.

ონლაინ ინფორმაციის მანიპულირების მნიშვნელობაზე შეთანხმება მეტ-ნაკლებად სწორხაზოვანია. თუმცა, როდესაც საუბარია პასუხისმგებლობის საკითხზე, ანუ იმაზე, ვინ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ონლაინ ინფორმაციით მანიპულირების წინააღმდეგ ბრძოლის საჭირო მექანიზმები, არაერთგვაროვანი დამოკიდებულება და დილემები არსებობს. ამ კუთხით, ნარატივი ძირითადად მოიცავს სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ტექ კომპანიებს, მედიასა და სასამართლოებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან საკანონმდებლო რეგულაციის თაობაზე სკეპტიკურად არიან განწყობილნი როგორც თავად მედიის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და

⁷ Brian F. Schaffner and Cameron Roche, “Misinformation and Motivated Reasoning: Responses to Economic News in a Politicized Environment,” *Public Opinion Quarterly* 81, no. 1 (March 1, 2017): 86–110, <https://doi.org/10.1093/poq/nfw043>.

⁸ Charles S. Taber and Milton Lodge, “Motivated Skepticism in the Evaluation of Political Beliefs,” *American Journal of Political Science* 50, no. 3 (2006): 755–69, <https://doi.org/10.1111/j.1540-5907.2006.00214.x>.

⁹ “About the Project | Countering Disinformation,” accessed November 11, 2021, <https://counteringdisinformation.org/about>.

ამის მიზეზად ცენზურისა და ინფორმაციული ველის მონოპოლიზების საშიშროებას ასახელებენ. მოლოდინი, რომ დეზინფორმაციისა და ინფორმაციის მანიპულირების წინააღმდეგ შემუშავებული რეგულაციები გამოყენებული იქნება ზოგადად ინფორმაციული თავისუფლების შეზღუდვისთვის, განსაკუთრებით მაღალია საქართველოს მსგავს, დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისთვის, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები არამდგრადობით გამოირჩევიან. ტექ კომპანიების მიმართ დაწესებული შეზღუდვები კი, რომელიც პოლიტიკური რეკლამების შეზღუდვიდან - ინფორმაციის გადამოწმებისა და გავრცელების პასუხისმგებლობამდე მერყეობს, დამოკიდებულია აღნიშნული ტექ კომპანიების ფიზიკური ინფრასტრუქტურის არსებობაზე ამა თუ იმ ქვეყანაში, კონკრეტულ ტერიტორიაზე, კანონმდებლობასა და კერძო, ხშირად ბიზნეს ინტერესებზე.¹⁰

ძირითადი მიმართულებები საქართველოში

ონლაინ ინფორმაციის მანიპულირებისა და სისტემური დეზინფორმაციული კამპანიების წინააღმდეგ ქართულ კონტექსტში შემდეგი რამდენიმე მიმართულება გამოიყოფა: ფაქტების გადამოწმება (fact checking), ონლაინ ინფორმაციის/სოციალური მედიის მონიტორინგი და დეზინფორმაციული ნარატივების გაბათილება, მედია წიგნიერების პროგრამები, საარჩევნო პერიოდში ინფორმაციის მონიტორინგი და კვლევა. ჩამოთვლილი მექანიზმები, ბუნებრივია, განსხვავებული სიხშირით გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მექანიზმები ძირითადად შემუშავებულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ და მონიტორინგთან ერთად, ცნობიერების ამაღლების აქტივობისკენაა მიმართული.

საქართველოში აქტიური ორგანიზაციები ყოველდღიურად ახორციელებენ სოციალური მედიის მონიტორინგს, განსაკუთრებით კი აქტიურებიან წინასაარჩევნო პერიოდში. ორგანიზაციები აკვირდებიან პოლიტიკური რეკლამების გავრცელების ტენდენციებსა და ძირითად დეზინფორმაციულ ნარატივებს.¹¹ გარდა ნარატივების მონიტორინგისა, სხვა ორგანიზაციები უზრუნველყოფენ გამოძიებაზე დაფუძნებული, ინფორმაციული ეკოსისტემის რუკის შექმნას, რომელიც იძლევა სრულ სურათს დეზინფორმაციულ ნარატივებზე, მათ სამიზნე აუდიტორიასა და მისი გავრცელებით დაინტერესებულ აქტორებზე.¹² ასევე მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ინფორმაციული მანიპულირების “მოთხოვნის” მხარის შესწავლა და ტენდენციებზე დაკვირვებით, ინფორმირებული მექანიზმების შემუშავება, რასაც ზოგიერთი ქართული ორგანიზაცია რეგიონალური ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების გაძლიერებით

¹⁰ “Facebook Whistleblower Exposes a Dark Reality: Right Wing Disinformation Is Popular — and Profitable | Salon.Com,” accessed November 11, 2021, <https://www.salon.com/2021/10/04/facebook-whistleblower-exposes-a-dark-reality-right-wing-disinformation-is-popular--and-profitable/>.

¹¹ “Social Media Monitoring | ISFED,” isfed.ge, accessed November 11, 2021, <http://isfed.ge/eng/sotsialuri-mediis-monitoring/>; “Myth Detector,” September 2020, [/en/myth/myth-detector-and-factcheck-georgia-have-partnered-facebook](http://en/myth/myth-detector-and-factcheck-georgia-have-partnered-facebook).

¹² “USAID Launches Innovative Program to Counter Disinformation In Georgia,” October 8, 2020, <https://www.usaid.gov/news-information/press-releases/oct-8-2020-usaid-launches-innovative-program-counter-disinformation-georgia>.

ახორციელებს.¹³ ასევე მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლებისა და მედიის წარმომადგენელთა გადამზადება ონლაინ სივრცეში ჯანსაღი ინფორმაციული გარემოს შექმნისთვის, რა კუთხითაც საქართველოში რამდენიმე ორგანიზაცია მუშაობს.¹⁴

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ დეზინფორმაციისა და ონლაინ ინფორმაციული მანიპულირების წინააღმდეგ ფრაგმენტულ მიდგომებსა და კვლევის საჭიროებებზე. მნიშვნელოვანია, ონლაინ სივრცის სწრაფად ცვალებადობის შესწავლა და კვლევისა თუ ინტერვენციის გზების შესაბამისად დაგეგმვა. ტენდენციების გამოვლენა და ინფორმაციული მანიპულირებისა და დეზინფორმაციული ნარატივების მონაცემთა რეგიონალურ ბაზებში¹⁵ საქართველოს მონაცემების განთავსება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს გარე მავნე გავლენათა მექანიზმების იდენტიფიცირებასა და საპასუხო მექანიზმების ჩამოყალიბებას.

გამოწვევები და კვლევის მიმართულებები საქართველოსთვის

ონლაინ ინფორმაციის მანიპულირების წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანია იმ ნარატივებისა და გზავნილების შესწავლა, რომლის მიმართაც საზოგადოება განსაკუთრებით მოწყვლადია. აღნიშნული ტიპის კვლევა, საშუალებას იძლევა კონკრეტული მიმართულების პრიორიტიზირებასა და როგორც ნარატივების გაბათილების, ისე „პოზიტიური“ ნარატივების შექმნის, კვლევაზე დაფუძნებული ინფორმაციის შემუშავების მიმართულებებით. სლოვაკური ორგანიზაცია GLOBSEC, რომელიც ნახსენებ მოწყვლადობის შესწავლის მიდგომას მიმართავს, მთავარ გამოწვევად კვლავ აღიქვამს დეზინფორმაციული ნარატივების მოთხოვნის საკითხს.¹⁶

მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ასევე, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის განათლება მედია წიგნიერების კუთხით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, ჩეხური მედია ორგანიზაცია Transitions-ის “ციფრული მოქალაქეების” გადამზადების მიდგომა, რომელიც მედიის წარმომადგენლებისა და მათდამი ნდობის ამაღლების აქტივობების გარდა, ასაკოვანი მოსახლეობის მედია წიგნიერების პროგრამებში ჩართვას ცდილობს.¹⁷ აღნიშნული მიდგომა ეფუძნება ციფრულ გარემოში ინფორმაციულ ქაოსს და მოქალაქეებისთვის მასში ნავიგაციის უნარების განვითარებას.

საქართველოს კონტექსტისთვის ასევე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ეფექტური საშუალებების შემუშავება ონლაინ გავრცელებული მასშტაბური ინფორმაციის მონიტორინგისთვის. როგორც წესი, მცირე ენებისთვის, როგორც ქართულია, ასეთი

¹³ People in Need, “Media Literacy Training for Regional Journalists,” People in Need, accessed November 11, 2021, <https://georgia.peopleinneed.net/en/media-literacy-training-for-regional-journalists-7546gp>.

¹⁴ “Amplify, Verify, Engage,” accessed November 11, 2021, <https://iwpr.net/projects/focus/amplify-verify-engage>.

¹⁵ “StratCom | NATO Strategic Communications Centre of Excellence Riga, Latvia,” accessed November 11, 2021, <https://stratcomcoe.org/>.

¹⁶ “GLOBSEC Trends,” GLOBSEC (blog), accessed November 11, 2021, <https://www.globsec.org/projects/globsec-trends/>.

¹⁷ “TOL Education | The Journalism Training Arm of Transitions (TOL),” accessed November 11, 2021, <https://toleducation.org/>.

ხელსაწყობები ნაკლებად ხელმისაწვდომია, ხოლო არსებული მონიტორინგის საშუალებები დიდ ადამიანურ და დროით რესურსს მოითხოვს. გარდა ამისა, აღსანიშნავია სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ინფორმაციული მანიპულირების წინააღმდეგ მომუშავე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორის, საზოგადოებრივი ნდობისა და ავტორიტეტის საკითხი. ნდობის დაბალი მაჩვენებელი ნეგატიურად აისახება სამოქალაქო სექტორის მცდელობებზე შეამციროს ინფორმაციული მანიპულირებისა და დეზინფორმაციული კამპანიების ნეგატიური ეფექტები საზოგადოებაში და ხელი შეუშალოს მასზე დაფუძნებულ სოციო-პოლიტიკურ პოლარიზაციას. ნდობის საკითხთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის გამოწვევად რჩება ერთიანი შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის საკითხი, როდესაც საუბარია ონლაინ ინფორმაციის მანიპულირების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებზე.

კვლევის კუთხით, აღსანიშნავია შემდეგი მიმართულებები, რომელთა განვითარებაც საქართველოს კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ონლაინ ინფორმაციის მანიპულირებასთან დასაპირისპირებლად: დეზინფორმაციული ნარატივების ონლაინ და ფიზიკურ სივრცეში გავრცელების ლოგიკის შედარებითი ანალიზი; საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტში, მათ შორის უმცირესობებში, ინფორმაციის გავრცელებისა და ძირითადი საკომუნიკაციო ქცევების შესწავლა; მედია წიგნიერების გაძლიერების გზების ძიება საზოგადოებაში თაობათაშორისი დიალოგის საშუალებით; საზოგადოებრივი პოლარიზაციის წყაროებისა და დეზინფორმაციულ ნარატივებს შორის კავშირის შესწავლა. აღნიშნულ კონტექსტში, კვლევის საჭიროება განისაზღვრება ასევე სხვადასხვა ინტერვენციის მეთოდების შედეგების შესასწავლად, ისევე როგორც მოწყვლადი სეგმენტების მხრიდან ონლაინ ინფორმაციის მოხმარების ჩვევების გასაანალიზებლად.¹⁸ მსგავსი ტიპის კვლევები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავად საკითხის უკეთ გასაგებად და ონლაინ შექმნილი ნარატივების ანალიზისთვის, არამედ ასევე აქამდე განხორციელებული პროგრამების ეფექტურობისა და ცვლილებების კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირების კუთხით. მომხმარებელთა ონლაინ ქცევისა და ინფორმაციის მოხმარების ტენდენციების შესწავლა ასევე მნიშვნელოვანია კონკრეტული საპასუხო მექანიზმების შემუშავებისთვისაც. მაგალითად, იმის დასადგენად რა შედეგი აქვს არასწორი ინფორმაციის გადამოწმებისა და გაბათილების საფუძველზე შექმნილ ინფორმაციას და აღწევს თუ არა ის იმავე სამიზნე ჯგუფებს, რომელსაც დეზინფორმაციული ნარატივები.¹⁹ ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბჭოთა წარსული ხშირად ხდება ინფორმაციული მანიპულირების სამიზნე. პოლიტიზირებულ ისტორიულ ნარატივებს კი ხშირად რუსეთის ფედერაცია ქმნის და ავრცელებს პოსტ-საბჭოთა სივრცეში.²⁰ ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია, აკადემიასთან კოლაბორაციის გზით, მანიპულირებული ისტორიული ნარატივების გაბათილება და მეხსიერების პოლიტიკის

¹⁸ “0. Executive Summary | Countering Disinformation,” accessed November 11, 2021, <https://counteringdisinformation.org/node/2749/>.

¹⁹ “4. Evaluative Research for Counter-Disinformation Programs | Countering Disinformation,” accessed November 11, 2021, <https://counteringdisinformation.org/topics/surveys/4-evaluative-research-counter-disinformation-programs>.

²⁰ Juurvee, Ivo, Vladimir Sazanov, Kati Parppei, Edgars Engizers, Ieva Palasz, and Malgorzata Zawadzka. “Falsification of History as a Tool of Influence.” StratCom | NATO Strategic Communications Centre of Excellence Riga, Latvia, January 2021. <https://stratcomcoe.org/publications/falsification-of-history-as-a-tool-of-influence/16>.

ანალიზი, რომელიც ამავდროულად საფუძველს უქმნის ანტი-დასავლური პროპაგანდის გავრცელებას.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის დიალოგი უკეთესი საინფორმაციო გარემოსა და მედია წიგნიერების დონის გაუმჯობესების მიმართულებით. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ სახელმწიფოს როლი არა მხოლოდ რეგულაციების შემუშავებით შემოსაზღვრება, არამედ მოიცავს მედია წიგნიერებასა და უკვე არსებული საკანონმდებლო რეგულაციების ონლაინ სივრცეზე ადაპტირების მექანიზმებს. აღსანიშნავია სახელმწიფოს ბერკეტი უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოება და, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის კვლევა²¹ ეროვნულ სასწავლო პროგრამაში მედია წიგნიერების შეტანა. მედია წიგნიერების კომპონენტი გადამწყვეტია საზოგადოებაში ონლაინ სივრცეში ნავიგაციისა და ინფორმაციის კრიტიკულად შეფასების უნარების განვითარებისთვის. ფაქტებისა და სუბიექტური დამოკიდებულებების გარჩევა, არა მხოლოდ ონლაინ ჰიგიენასა და დაცულობაზე, არამედ საზოგადოების სხვა წევრების ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე ახდენს გავლენას.²²

გარდა ამისა, რეგულაციების მიმართ ნეგატიური მოლოდინების საპირისპიროდ, აქტუალური რჩება სახელმწიფოს ჩართულობის საჭიროება დეზინფორმაციისა და ინფორმაციულ მანიპულაციებთან წინააღმდეგ დისკუსიაში, როგორც სამოქალაქო საზოგადოებასთან, ისე მედიასთან. სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული სტრატეგიების გაძლიერება და მათი მუშაობის ეფექტურობა, სამოქალაქო და მედია ორგანიზაციების პერსპექტივიდან, კვლავ გამოწვევად რჩება საქართველოში.

საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები


ხარისხიანი ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის გადამოწმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია, პოინტერმა [Poynter] მოაგროვს ინფორმაციული ბაზა იმის შესახებ თუ რა მექანიზმები აქვთ შემუშავებული სახელმწიფოებს, ფართოდ განმარტებული დეზინფორმაციული კამპანიების წინააღმდეგ. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს შემდეგს: სპეციალური კანონები, მედია წიგნიერების პროგრამები, ინტერნეტზე წვდომის შეზღუდვა, კანონპროექტები, არსებული საკანონმდებლო რეგულაციების გააქტიურება, ჩავარდნილი

²¹ About the Author Lucie Stastna Lucie Štastná is a PhD c et al., “Journalists and Schools Work Together to Teach Media Literacy,” *European Journalism Observatory - EJO* (blog), December 24, 2017, <https://en.ejo.ch/ethics-quality/journalists-schools-work-together-teach-media-literacy>.

²² “Teaching Media Literacy in Europe: Evidence of Effective School Practices in Primary and Secondary Education,” NESET, accessed November 11, 2021, <https://nesetweb.eu/en/resources/library/teaching-media-literacy-in-europe-evidence-of-effective-school-practices-in-primary-and-secondary-education/>.

საკანონმდებლო შეთავაზებები, სპეციალური სამუშაო ჯგუფები, საგამომძიებლო მოქმედებათა პრინციპები, მუქარა, ანგარიშიები და სასამართლო პროცესია.²³

Here's where governments are taking action against online misinformation



(Map: Daniel Funke)

წყარო: <https://www.poynter.org/ifcn/anti-misinformation-actions/>

ანგარიშის ბოლო ნაწილი ზემოაღნიშნული პრაქტიკებიდან მედია წიგნიერებისა და რამდენიმე საკანონმდებლო პრაქტიკას მიმოიხილავს.

მედია წიგნიერების მნიშვნელობა აღიარებულია როგორც ევროკავშირის, ისე სხვადასხვა ქვეყნების შიდა საგანმანათლებლო რეკომენდაციებით. ევროპული კომისია მედია წიგნიერებას განსაზღვრავს, როგორც „მედიაზე წვდომის, მედიის კონტექსტის სხვადასხვა ასპექტების გაგებისა და კრიტიკულად შეფასების და სხვადასხვა კონტექსტში კომუნიკაციის შექმნის უნარს“.²⁴ მედია წიგნიერების კომპონენტი, ციფრული კომპეტენციების ნაწილია და ასახულია ევროპულ ჩარჩოს - პიროვნული, სოციალური და ძირითადი კომპეტენციისთვის - ფარგლებში. პარიზის დეკლარაცია რომელიც ბრიუსელში ჩატარებული „ინკლუზიისა და ფუნდამენტური ღირებულებების ხელშეწყობა განათლების საშუალებით“ დეკლარაციის შედეგად დამტკიცდა, ითვალისწინებს ახალგაზრდების მედია წიგნიერების განვითარებას ექსტრიმიზმის, რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და განსაკუთრებულ აქცენტს სოციალურ მედიის სწორად მოხმარებაზე აკეთებს.²⁵ ამასთანავე, 2018 წლის 22 მაისს მიღებული ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია - “საერთო ღირებულებების, ინკლუზიური განათლებისა და სწავლების ევროპული განზომილების შესახებ” - ხაზს უსვამს მედია წიგნიერებისა და

²³ “A Guide to Anti-Misinformation Actions around the World – Poynter,” accessed November 11, 2021, <https://www.poynter.org/ifcn/anti-misinformation-actions/#kenya>.

²⁴ “A European Approach to Media Literacy in the Digital Environment,” CEDEFOP, November 27, 2009, <https://www.cedefop.europa.eu/en/news/european-approach-media-literacy-digital-environment>. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52007DC0833&from=el>

²⁵ Eurydice (European Education and Culture Executive Agency), *Promoting Citizenship and the Common Values of Freedom, Tolerance and Non-Discrimination through Education: Overview of Education Policy Developments in Europe Following the Paris Declaration of 17 March 2015* (LU: Publications Office of the European Union, 2016), <https://data.europa.eu/doi/10.2797/396908>.

კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარების მნიშვნელობას.²⁶ ამრიგად, ევროკავშირის დამოკიდებულება მედია წიგნიერების მიმართ არ შემოისაზღვრება მხოლოდ კონკრეტული ხელსაწყოებისა და ინფორმაციის გადამოწმების ტექნიკებით, არამედ მოიცავს კრიტიკული აზროვნების, განსჯის, ანალიზისა და ფაქტების მოსაზრებებიდან გარჩევის უნარებს.

უკანასკნელ პერიოდში კი, ევროპული დემოკრატიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ევროპული სტრუქტურების დამოკიდებულება ციფრულ სივრცეში მანიპულირებული ინფორმაციის მიმართ უფრო მიზანმიმართული [Targeted] გახდა და მოიცვა საზოგადოების მედია წიგნიერებასთან ერთად, ტექ კომპანიების ვალდებულების საკითხი, უზრუნველყონ უსაფრთხო ინფორმაციული გარემო. 2021-2027 წლებისთვის ევროკავშირის ინიციატივა აღნიშნული საკითხის მიმართ ასახულია ციფრული განათლების სამოქმედო გეგმაში.²⁷ ამ უკანასკნელში, დუზინფორმაციის პრობლემა უმთავრესი საკითხია. აღნიშნული სტრატეგია ასევე გაწერს უნივერსალურ მითითებებს მასწავლებლებისა და განათლების სფეროში მომუშავე სხვა ინსტრუქტორებისთვის ციფრული წიგნიერების გავრცელებისა და ინფორმაციული მანიპულირების საკითხებზე გაზგასმით.²⁸ ამრიგად, ევროკავშირის დონეზე მედია წიგნიერების საკითხი აქტუალობით აქამდეც გამოირჩეოდა, თუმცა მისი, როგორც დუზინფორმაციის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი მექანიზმის გააქტიურება, უკანასკნელ წლებში მოხდა რამდენიმე რეკომენდაციის, დირექტივისა და ექსპერტული ჯგუფების ჩამოყალიბებით.

მედია წიგნიერების მიმართულებით აღნიშვნას იმსახურებს ჩეხეთის რესპუბლიკისა და უკრაინის მაგალითები, რომლებსაც საქართველოსთვის განსაკუთრებით ყურადსაღებია. აღნიშნულ ქვეყნებში, მედია წიგნიერება ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილია და პროცესში მედია თუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობასაც მოიცავს. **ჩეხეთის რესპუბლიკის** შემთხვევაში, მედია წიგნიერება დაწყებითი და საშუალო სკოლების კურიკულუმის ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ სხვა მედია ორგანიზაციებს ასეთი ვალდებულება არ გააჩნიათ, ისინი აქტიურად არიან ჩართული სკოლებთან მუშაობაში და ეხმარებიან მოსწავლეებს უკეთ აღიქვან ახალი ამბების შექმნის პროცესი, ისევე როგორც ონლაინ სივრცეში ინფორმაციით მანიპულირების საფრთხეები.²⁹ ამ შემთხვევაში, თავად ჟურნალისტები საზოგადოებაში მედია წიგნიერების განვითარებას აღიქვამენ მედიის მიმართ ნდობის მაჩვენებლის გაუმჯობესებისა და დემოკრატიული განვითარების წინაპირობად. ჩეხური საზოგადოებრივი მაუწყებელი ასევე აქტიურად არის ჩართული პროცესში, ერთი მხრივ მასწავლებელთა და მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა გადამზადების საქმეში. ამრიგად, ჩეხეთის რესპუბლიკის შემთხვევაში, მედია წიგნიერების პროგრამები ორ მთავარ მიზანზეა ფოკუსირებული: საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება (მედიის ისტორიის, ფუნქციისა და მისი როლის შესახებ) და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება

²⁶ “Council Recommendation of 22 May 2018 on Promoting Common Values, Inclusive Education, and the European Dimension of Teaching ST/9010/2018/INIT,” accessed November 11, 2021, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32018H0607%2801%29>.

²⁷ EAC A3, “Digital Education Action Plan (2021-2027),” Text, Education and Training - European Commission, September 14, 2018, https://ec.europa.eu/education/education-in-the-eu/digital-education-action-plan_en.

²⁸ A3, “Digital Education Action Plan (2021-2027).”

²⁹ ., “Journalists and Schools Work Together to Teach Media Literacy.”

(ციფრულ გარემოში ინფორმაციის გაფილტვრა, მისი გავცელების მახასიათებლების ამოცნობა და კრიტიკული მიდგომა ინფორმაციის მიმართ).³⁰

სახელმწიფოს როლი განხილული შემთხვევის კონტექსტში მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც ის აღიარებს მედია წიგნიერების მნიშვნელობას ეროვნულ დონეზე და აქვს ჩამოყალიბებული სახელმწიფოს სტრატეგია [the Digital Czech Republic v. 2.0] და სპეციალური ღირეუქტივები [School for the 21st Century] სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. საყურადღებოა ასევე არასამთავრობო და მედია სექტორის ჩართულობის პრაქტიკა ჩეხეთის რესპუბლიკის შემთხვევაში: მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ღირეუქტივების განხორციელებისა და სასკოლო პროგრამებში მედია წიგნიერების შეტანაზე პასუხისმგებელია განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო, სხვა, საკითხზე სპეციალიზებულ ორგანიზაციებს აქვთ საშუალება ჩაერთოდ პროგრამის შინაარსის მომზადებაში. ამ მხრივ, ასევე აღსანიშნავია DigiCoalition ფორუმი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო ინსტიტუტები, ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე მომუშავე კომპანიები, საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული სუბიექტები ერთვებიან ინფორმაციის მიმოცვლასა და უკეთესი ციფრული გარემოს შექმნის შესახებ დისკუსიაში.³¹

უკრაინის შემთხვევაში, ინფომედია წიგნიერების საკითხები შეტანილია უკრაინული ენის გაკვეთილებში მე-8 და მე-9 კლასელებისთვის. შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, მასწავლებლები მედია წიგნიერებისა და ონლაინ სივრცეში ინფორმაციის მართვის უნარ-ჩვევებზე უსაუბრებიან მოსწავლეებს.³² შესაბამისი პროგრამის ჩამოყალიბებაში, მონაწილეობას იღებდნენ ექსპერტები ლინგვისტიკის, ჟურნალისტიკის, ფაქტების შემოწმებისა და პედაგოგიის სფეროებიდან. სახელმწიფოს ჩართულობის კუთხით კი, აღსანიშნავია უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიური საბჭოს უკრაინული ენის კომისიის როლი, რომელმაც აღნიშნული პროგრამატული ცვლილება დაამტკიცა.³³ გარდა უკრაინული ენისა, მედია წიგნიერების პროგრამა ასევე შეტანილია უკრაინული საჯარო სკოლების მე-9 კლასის ხელოვნების გაკვეთილებში და შესაბამისი დავალებები ადაპტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.³⁴

მნიშვნელოვანია საკანონმდებლო მექანიზმები, რომელიც არსებულ საინფორმაციო ან წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის წესებს, ონლაინ გარემოზეც ავრცელებენ. ასეთია, მაგალითად **გერმანიის შემთხვევა**, სადაც ფართოდ განმარტებული „გამოხატულად

³⁰ c et al., “Journalists and Schools Work Together to Teach Media Literacy.”

³¹ “6.8 Media Literacy and Safe Use of New Media | YouthWiki,” accessed November 4, 2021, <https://national-policies.eacea.ec.europa.eu/youthwiki/chapters/czech-republic/68-media-literacy-and-safe-use-of-new-media>.

³² Kitsoft. “Міністерство освіти і науки України - Навчально-методичні матеріали для вчителя «Інфомедійна грамотність на уроках української мови» для 8–9 класів.” Accessed November 11, 2021. <https://mon.gov.ua/osvita/zagalna-serednya-osvita/navchalni-programi-pidruchniki-ta-navchalno-metodichni-posibniki-rekomendovani-mon/navchalno-metodichni-materiali-dlya-vchitelya-infomediyna-gramotnist-na-urokah-ukrayinskoyi-movi-dlya-89-klasiv>.

³³ <https://mon.gov.ua/storage/app/media/zagalna%20serednya/2021/Infomediyna%20hramotnist%20na%20urokakh%20ukrayinskoyi%20movy/Ukrainian%20language%20gryf.pdf>

³⁴ Kitsoft. “Міністерство освіти і науки України - Навчальні матеріали ‘Інфомедійна грамотність на уроках мистецтва’ для учнів 9 класу.” Accessed November 11, 2021. <https://mon.gov.ua/osvita/zagalna-serednya-osvita/navchalni-programi-pidruchniki-ta-navchalno-metodichni-posibniki-rekomendovani-mon/info-mediyna-gramotnist-na-urokah-mistectva>.

არაკანონიერი” შინაარსის ინფორმაციის წაშლას სახელმწიფო სოციალურ მედია კომპანიებს ავალდებულებს 24 საათიანი და 7 დღიანი ვადების შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში რეგულაცია ტექ კომპანიებს მაღალ ჯარიმებს აკისრებს. ამრიგად, გერმანიის შემთხვევაში, უკვე არსებული რეგულაციები სიძლიერის ენისა და სხვა არაკანონიერი მოწოდებების შესახებ (ძალადობისკენ მოწოდება, ცილისწამება, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება და ა.შ.) გავრცელდა ციფრულ სივრცეზე და აღსრულების მექანიზმი სოციალურ მედია კომპანიებს დაეკისრა. მსგავსი მექანიზმი პირველ რიგში განსაზღვრულია ტექ კომპანიების ფიზიკური ინფრასტრუქტურის ქვეყანაში არსებობით (რათა შესაძლებელი გახდეს დავების სასამართლოში წარმოება), რეგისტრირებულ მომხმარებელთა რაოდენობით ქვეყნის ფარგლებში და ქვეყანაში სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხით. თუმცა, ამ შემთხვევაში ყურადსაღებ გამოწვევად რჩება ტექ კომპანიების გაზრდილი პასუხისმგებლობა და სასამართლოების ნაცვლად, მათი მხრიდან ონლაინ გავრცელებული ინფორმაციის შინაარსზე ვერდიქტის გამოტანის პრივილეგია.³⁵ უფრო სახიფათოა ის ტენდენცია, როდესაც გერმანიის მსგავსი რეგულაციები და ონლაინ ინფორმაციის გავრცელებაზე შეზღუდვები სხვა, თავისუფლებისა და დემოკრატიის დაბალი მაჩვენებლის ქვეყნებმაც მიიღეს, რაც სიტყვისა და გამომხატვის თავისუფლების პოტენციურ საფრთხეებზე მიუთითებს.³⁶ მსგავსი რეგულაციის მიღებაზე უარი თქვა **საფრანგეთის** კონსტიტუციურმა სასამართლომ 2020 წელს და მთავარ არგუმენტად ონლაინ სივრცეში ინფორმაციის გაფილტვრის კონსერვატორული სტანდარტების დაფუძნების საფრთხე დაასახელა.³⁷

პრობლემურია **თურქეთში** 2020 წლის ოქტომბერში მიღებული კანონი, რომელიც სოციალურ მედია კომპანიებს (რომელთაც 1 მილიონზე მეტი მომხმარებელი ჰყავთ) ავალდებულებს მომხმარებელთა მონაცემების ქვეყანაში შენახვასა და ოფიციალური წარმომადგენლობის განთავსებას, რომელიც ადგილობრივ მმართველ აქტორებს მისცემს საშუალებას მოითხოვონ „დამამცირებელი” შინაარსის მქონე ინფორმაციის დაბლოკვა. აღნიშნული რეგულაციის საშუალებით, მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნა არა მხოლოდ კომპანიებს, რომლებიც მაღალი ჯარიმებისა და მოქმედების შეზღუდვის პირისპირ დარჩნენ, ასევე გამომხატვის თავისუფლების ზოგად სტანდარტებს. აღნიშნული რეგულაცია, თურქეთის პრეზიდენტის მიერ სოციალური მედიის „ამორალურად” გამოცხადებას მოჰყვა, რომელიც, მისი მიხედვით „კონტროლირებული ან დაბლოკილი” უნდა იყოს. რამდენიმე დღეა ტექ კომპანიამ, მაგალითად Facebook-მა უარი განაცხადა ამ რეგულაციის შესრულებაზე და საპასუხოდ, მაღალი ჯარიმა მიიღო პრეზიდენტ

³⁵ H. Tworek and P. Leerssen, “An Analysis of Germany’s NetzDG Law,” April 15, 2019, <https://dare.uva.nl/search?identifier=3dc07e3e-a988-4f61-bb8c-388d903504a7>.

³⁶ “Germany’s Online Crackdowns Have Inspired Russia, Venezuela, and Other Undemocratic Countries,” accessed November 11, 2021, <https://foreignpolicy.com/2019/11/06/germany-online-crackdowns-inspired-the-worlds-dictators-russia-venezuela-india/>.

³⁷ “French Court Strikes Down Most of Online Hate Speech Law - The New York Times,” accessed November 11, 2021, <https://www.nytimes.com/2020/06/18/world/europe/france-internet-hate-speech-regulation.html>.

ერდოდანის მთავრობისგან.³⁸ აღსანიშნავია, რომ თურქეთში დამკვიდრებული რეგულაცია მნიშვნელოვან მაგალითს ამკვიდრებს ონლაინ სივრცეში ცენზურის დამყარების კუთხით.³⁹

დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში, სამთავრობო აქტორებმა 2019 წლის კონსულტაციების შედეგად „ონლაინ ზიანი“ განმარტეს, როგორც ციფრულ სივრცეში აქტივობა, რომელმაც შეიძლება დააზიანოს პიროვნება ფიზიკურად ან ემოციურად. აღნიშნული ასევე მოიცავს გავრცელებულ ან პერსონალურად გაგზავნილ ინფორმაციას ონლაინ სივრცეში. ბრიტანული რეგულირების ჩარჩო კანონიერად მოითხოვს ტექ კომპანიებისგან მისი მომხმარებლების დაცვის და პროცესის ზედამხედველობისთვის დამოუკიდებელ, არასამთავრობო მარეგულირებელს ნიშნავს. სხვა სიტყვებით, რეგულაციის დოკუმენტი ეფუძნება, ერთი მხრივ, უსაფრთხო ციფრული გარემოს შექმნას და მეორე მხრივ, სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების უზრუნველყოფას. აღსრულების მექანიზმი და ჯარიმების დაწესება დამოუკიდებელი მარეგულირებლის კომპეტენციაში შედის. გარდა ამისა, ტექ კომპანიებს მარეგულირებლისგან მოეთხოვებათ მათი ფუნქციონირების ლოგიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია და მკვლევრებისთვის მონაცემების გამარტივებული გაზიარება, თუმცა მარეგულირებელი არ იქნება პასუხისმგებელი ონლაინ გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტის დადგენისთვის. ბრიტანული მექანიზმი სოციალური მედიის გარდა საჯარო დისკუსიის ფორუმებს, ძიებისა და კომუნიკაციის სერვერებსაც მოიცავს. აღნიშნული მექანიზმი ასევე ეფუძნება ევროკავშირის ელექტრონული კომერციის დირექტივას [European Union’s E-Commerce Directive].⁴⁰ გარდა ამისა, დიდი ბრიტანეთის მთავრობა იღებს პასუხისმგებლობას, ექსპერტთა ჯგუფთან ერთად შექმნას ონლაინ მედია წიგნიერების ეროვნული გეგმა.⁴¹

ამრიგად, კონსოლიდირებული დემოკრატიის პირობებში, საუბარი ონლაინ გავრცელებული ინფორმაციის გაფილტვრასა და გადახედვაზე, მეტად წარმოსადგენია დამოუკიდებელი სასამართლოსა და მარეგულირებლის ფონზე. თუმცა, საქართველოს მსგავს ქვეყნებში, როდესაც საუბარია სუსტ სახემწიფო ინსტიტუტებსა და სასამართლოს დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხზე,⁴² რეგულაციების დაწესება, სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების პირდაპირ საფრთხედ ფასდება. შესაბამისად, სახელმწიფოს როლი, ამ შემთხვევაში, წარმოდგენილია მედია წიგნიერების პროგრამის განვითარების, სტრატეგიების გაძლიერებისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგში ჩართულობით.

³⁸ Hürriyet Daily News. “Turkey Fines Facebook, Others over New Social Media Law - Turkey News.” Accessed November 12, 2021. <https://www.hurriyetdailynews.com/turkey-fines-facebook-others-over-new-social-media-law-159732>.

³⁹ Pitel, Laura, and Hannah Murphy. “Facebook to Defy New Turkish Social Media Law.” *Financial Times*, October 5, 2020. <https://www.ft.com/content/91c0a408-6c15-45c3-80e3-d6b2cf913070>.

⁴⁰ “E-Commerce Directive | Shaping Europe’s Digital Future,” accessed November 11, 2021, <https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/e-commerce-directive>.

⁴¹ “Online Harms White Paper,” GOV.UK, accessed November 11, 2021, <https://www.gov.uk/government/consultations/online-harms-white-paper/online-harms-white-paper>.

⁴² “Georgia: Nations in Transit 2021 Country Report,” Freedom House, accessed June 20, 2021, <https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2021>.